ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №592285

ნომერი: AR1110282

თარიღი : 18.02.2013

გაცემის თარიღი : 20.03.2013

გაცნობის თარიღი : 20.03.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 81 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ჯულუხაძე პ/ნ 01012017852
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 106

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის #573643 (06.03.2013) გადაწყვეტილებით უკვე გეცნობათ, რომ 1994 წლის 11 ნოემბრის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლიდან გამომდინარე,

მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა საავტომობილო გზების მფლობელს უნდა შეუთანხმოს გზის ღერძიდან 100 მეტრის მოშორებით განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა, ფონიჭალა-მარნეული-გოგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა.

<u>თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ყვება #104 (18.02.09.) საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის ღერძიდან 100 მეტრის რადიუსში არსებულ შეზღუდვაში.</u>

საქართველოს მთავრობის განკარგულება #1903 2012 წლის 20 ოქტომბერი ქ. თბილისი ,,საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის #104 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მიხედვით განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ: 2009 წლის 18 თებერვლის #104 განკარგულებიდან ამოღებულ იქნა თბილისი–წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი–რუსთავის მონაკვეთის შეზღუდვა, მაგრამ ამ ეტაპზე მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, (რომელიც ამუშავებს აღნიშნულ პროექტს) ჯერ არ არის გადმოცემული შეზღუდვის ახალი არეალის ბუფერები. აღნიშნული ბუფერის გადმოცემის შემდეგ, თუ თქვენი ნაკვეთი არ მოყვება შეზღუდვაში, სამსახური შეძლებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების საკითხის ხელმეორედ განხილვას. გადაწყვეტილება გეცნობებათ დამატებით.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #81-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.18.09.003.002, კომერციული დანიშნულების ობიექტის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.